



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 28

20/04/2018

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (1+4 პროგრამა) მოსარგებლე პირებისთვის საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების 6¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (1+4 პროგრამა) მოსარგებლე პირებისთვის საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკონკურსო კომისიის (შემდგომში - კომისია) შემადგენლობა (დანართი N1).
2. დამტკიცდეს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (1+4 პროგრამა) მოსარგებლე პირებისთვის საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკონკურსო კომისიის თანდართული დებულება (დანართი N2).
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქეთევან ციხელაშვილი

სახელმწიფო მინისტრი

დანართი N1

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (1+4 პროგრამა)
მოსარგებლე პირებისთვის საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის
მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. მუდმივ წევრებად განისაზღვრონ:

კომისიის თავმჯდომარე - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ა/რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი, კომისიის წევრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, კომისიის წევრი;

საქართველოს გაეროს ასოციაციის წარმომადგენელი, კომისიის წევრი;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

2. კომისიის შემადგენლობაში მოწვეული იქნება იმ სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენელი, რომელშიც სტაჟირებით დაინტერესებულ კანდიდატს სურს სტაჟირების გავლა.

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (1+4 პროგრამა) მოსარგებლე პირებისთვის საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკონკურსო კომისიის დებულება

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. კომისიის დებულება განსაზღვრავს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (1+4 პროგრამა) მოსარგებლე პირებისთვის სტაჟირებისთვის გავლის მიზნით შექმნილი კომისიის საქმიანობისა და კონკურსის ჩატარების წესებს.
2. კომისია საქმიანობს წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. კომისიის საქმიანობის მიზანია „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ მოსარგებლე პირებისთვის საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლისთვის დადგენილ მოთხოვნებთან სტაჟირებით დაინტერესებული კანდიდატის (შემდგომში - კანდიდატი) შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.
2. კომისიის ფუნქციებია:
 - ა) საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) განთავსებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირებული განაცხადების გადარჩევა;
 - ბ) კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება;
 - გ) კონკურსის შედეგების მიხედვით, კანდიდატის საჯარო დაწესებულებაში სტაჟირებაზე მიღებაზე გადაწყვეტილების მიღება;
 - დ) საჯარო სამსახურის ბიუროსა და შესაბამის საჯარო დაწესებულებისთვის მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინება.

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები.

2. კომისიის შემადგენლობაში შედის იმ საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი, სადაც სტაჟირება უნდა გაიაროს შერჩეულმა კანდიდატმა.
3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
4. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
5. კომისიის წევრი ვალდებულია წინასწარ, კონკურსის დაწყებდამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაში. ასეთ შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს დასახელებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული, კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ გაკეთებული შეფასებები არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.
3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობიდან ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.

მუხლი 5. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.
2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის ჩატარებაში, არ შეიძლება შედიოდეს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.
4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
5. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საპრეტენზიო კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.
6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის დამსწრე წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 6. კონკურსი

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ მოსარგებლე პირების მიერ საჯარო დაწესებულებაში სტაჟირებისთვის განკუთვნილი ვაკანსიის დასაკავებლად გამართული კონკურსი არის (შემდგომში - კონკურსი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კანდიდატის შესაბამისობის დადგენა გამოცხადებულ ვაკანსიასთან.

მუხლი 7. კონკურსის პრინციპები

კონკურსის პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) სამართლიანობა;
- გ) საჯაროობა;
- დ) გამჭვირვალობა;
- ე) ობიექტურობა;
- ვ) მიუკერძოებლობა;
- ზ) კოლოგიურობა;
- თ) კორექტულობა;
- ი) არადისკრიმინაციულობა.

მუხლი 8. კონკურსის ჩატარების პროცედურა

1. კონკურსს ატარებს კომისია.
2. კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) განაცხადების გადარჩევა;
 - ბ) გასაუბრება;
3. კონკურსის პროგრამას, პირობებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია.

მუხლი 9. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება

1. კომისია კანდიდატს აფასებს მოტივაციის, ქართული ენის ცოდნისა და ზოგადი უნარ-ჩვევების მიხედვით.
2. კომისია გასაუბრების შემდეგ კანდიდატის დაუსწრებლად სხდომაზე განიხილავს გამოცხადებულ ვაკანსიასთან თითოეული კანდიდატის შესაბამისობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 10. კონკურსის შედეგები

1. კომისია ვალდებულია კონკურსის საბოლოო შედეგები მიიღოს სტაჟირების გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში.
2. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები კანდიდატს ეცნობება განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
3. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები კანდიდატს ეცნობება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

მუხლი 11. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კანდიდატს, რომელმაც ვერ გაიარა კონკურსის პირველი, ან მეორე ეტაპი, უფლება აქვს კონკურსის პირველი, ან მეორე ეტაპის შედეგების შეტყობინებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო კომისიას.
2. საპრეტენზიო კომისია განცხადებას განიხილავს მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
3. საპრეტენზიო კომისია კანდიდატს განცხადების განხილვის შედეგებს აცნობებს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.